



**თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 43**

**2014 წლის 07 ოქტომბერი**

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თვითმმართველი  
თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის  
სამსახურისათვის“ მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი  
განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის  
მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“  
54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რათა უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 1 წლის ვადით გადასცეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურს“ 1988 წელს გამოშვებული ავტომანქანა SAZ, რეგისტრაციის ნომერი WUU-405, ნარჩენი ღირებულებით 6216 ლარი (თვითმცლელი), 1982 წელს გამოშვებული ავტომანქანა MMZ, რეგისტრაციის ნომერი ISI-034, ნარჩენი ღირებულებით 7370,4 ლარი (თვითმცლელი), 1983 წელს გამოშვებული ბორბლიანი ექსკავატორი იუმზ AL, რეგისტრაციის ნომერი DZ-077, ნარჩენი ღირებულებით 14800 ლარი, ბელარუს ექსკავატორი, ნარჩენი ღირებულებით 9744 ლარი, ექსკავატორი ჯუმზ ეო 2621ბ, გამოშვებული 1987 წელს, ნარჩენი ღირებულებით 9708,8 ლარი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**პაატა გიორგობიანი**